სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახურს“
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,შხარა 91“-ის გამგეობის თავმჯდომარის დონარა დოლიძის
განმარტება
(AR1741986 განაცხადით წარმოდგენილი მოთხოვნის თაობაზე)
თქვენს წარმოებაშია AR1741299 განაცხადით წარმოდგენილი მოთხოვნა, რითაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “შხარა 91”-ის გამგეობის თავმჯდომარე დონარა დოლიძე ითხოვს თბილისში, რამაზ ჩხიკვაძის ქ. #8-ში არსებული 3590,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული კორპუსის I სართულზე მდებარე ყოფილი საზაფხულო ფართზე ვიტრაჟის მოწყობას.
მოცემული ფართი , რაც რეგისტრირებულია საკადასტრო კოდით 01.14.02.013.002.01.566.500, წარმოადგენდა საზაფხულო ფართს, რომელიც რეგისტრირებული იყო როგორც საზაფხულო ფართი ჯერ კიდევ ძველი საკადასტრო კოდით , რომლის ნომერიც იყო 01.14.02.013.002.01.514, ფართით 363.00 კვ.მ.; ხოლო 882019581448 განაცხადის რეგისტრაციის ნომრით იქნა დარეგისტრირებული დაზუსტებული 421.50 კვ.მ.; თუმცა მისი სტატუსი დღეის მდგომარეობით კომერციული ფართის სახითაა რეგისტრირებული, როგორც მოგეხსენებათ მესაკუთრის მარტივი განცხადების საფუძველზე , განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882019813558-ით. ფაქტიურად კი ამჟამად ეს ფართი წარმოადგენს კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულ სივრცეს, სადაც ანტისანიტარია ბუდობს და ვერაფერს ვუხერხებთ, რომ დავიცვათ ჰიგიენა, რადგან ფართს არ გააჩნია არც კარი და არც ვიტრაჟები.აქედან გამომდინარე უძლურები ვართ ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით, თუკი არ მოხდება მოცემული ფართის ვიტრაჟებით შევსება.
ამასთანავე, საგულისხმოა, რომ თუკი ვიტრაჟები მოეწყობა , საცხოვრებელი კორპუსი მიიღებს დასრულებულ სახეს.
თავის დროზე ამხანაგობამ ვცერ შეძლო მოცემული ფართის შემინვა, ვინაიდან ამხანაგობის წევრმა შაქრო მაჭავარიანმა, ვისაც უნდა დაესრულებინა მშენებლობა, ამხანაგობას მოექცა არაკეთილსინდისიერდა და 2001 წლიდან დღემდე დაუსრულებელია დაუსრულებელია მშენებლობა სრულად და ობიექტის იერსახე. ჩვენი ძალებით კი რაც შევძელით სწორედ ისე მივაღებინეთ ზედამხედველობის სამსახურს კორპუსი ექსპლუატაციაში და თავის დროზე სწორედ კომერციული ფართის გადაკეთებაც საზაფხულო ფართად ამ გარემოების გამო იქნა განპირობებული, რადგან ამხანაგობას არ გააჩნდა ვიტრაჟების მოსაწყობი თანხები.
ვინაიდან ის შენობა, სადაც ვიტრაჟების მოწყობა გვსურს ამხანაგობის კუთვნილ ფართში, ექსპლუატაციაშია მიღებული, ხოლო მოცემულ საცხოვრებელ კორპუსზე არსებული საზაფხულო ფართი წარმოადგენს ნაგვის დაგროვების ადგილს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს დიდ საშიშროებას, რადგან არაერთხელ მკვდარი ცხოველი იქნა გამოტანილი მოცემული ფართიდან, რომელნიც დიდ დისკომფორტს უქმნიდა არსებულ მოსახლეობას და ქალაქის გარემოს, მითუმეტეს ეპიდემიისათვის საშიშ პერიოდში, ვაცნობიერებთ რა მოცემული ფართის მოვლის აუცილებლობას, ამხანაგობამ გადაწყვიტა მოცემულ ფართში მოაწყოს ზამთრის ბაღი, სადაც განთავსდება მცენარეები, ხოლო გარე პერიმეტრზე არსებული ღიობები შეიმინება სათანადოდ მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით. იმის გამო, რომ კომერციული ფართის სიმაძლე წარმოადგენს 5,30 მეტრს მხოლოდ ვიტრაჟების მოწყობა, ვიტრაჟებს შორის მოწყობილი კედლების გარეშე შეუძლებელი გახდება. ამის გამო ფოტომონტაჟი გავაკეთეთ სწორედ ისეთ შესაბამისობაში, რომ ვიტრაჟების მოწყობის სამუშაოები გაადვილდეს და სათავსოში მოწყობილი ზამთრის ბაღში განთავსებული მცენარეებისათვის იყოს მოსახერხებელი.